საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

თემურ გოგობია

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თემურ გოგოხია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ამირან ძაბუნიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის 1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ამირან ძაბუნიძემ.

2021 წლის 22 ნოემბერს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის კანდიდატი ამირან ძაბუნიძე და მივიჩნიე, რომ აღნიშნული კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მერვე პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლით შეფასებისას, თითოეული მახასიათებლის გათვალისწინებით კანდიდატს მივანიჭე 92 ქულა (რაც 92%-ს შეადგენს).

ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც. ამდენად, ზემოაღნიშნულის

გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც 2021 წლის 20 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე კანდიდატი ამირან ძაბუნიძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

თემურ გოგოხია

20.12.2021 **წელი**